



რომან

რურუა

ROMAN RURUA

ელგუჯა ბერიშვილი



ქართველი ოლიმპიური ჩემპიონები  
GEORGIAN OLYMPIC CHAMPIONS



პროექტის ავტორი და მთავარი რედაქტორი  
ელგუჯა ბერიშვილი

THE PROJECT AUTHOR AND EDITOR-IN-CHIEF  
**Elguja Berishvili**

პროექტის მენეჯერი  
ემზარ ზენაიშვილი

THE PROJECT MANAGER  
**Emzar Zenaishvili**

პროექტის კოორდინატორი  
რუსუდან აფციაური

THE PROJECT COORDINATOR  
**Rusudan Aptsiauri**

ტექსტი  
ელგუჯა ბერიშვილი

TEXT  
**Elguja Berishvili**

დიზაინი  
ვახტანგ შატაიძე

DESIGN  
**Vakhtang Shataidze**

რედაქცია  
ავთანდილ გურასაშვილი, ჯემალ კასრაძე, დავით ჭელიძე,  
კარლო ფაჩულია, ზაალ ანჯაფარიძე, ინგა ალავეიძე,  
ნანა ჯოხარიძე, მაია ბერიშვილი, ივანე ბურნაძე

EDITORIAL STAFF  
**Avtandil Gurasashvili, Jemal Kasradze, David Chelidze,  
Inga Alavidze, Karlo Pachulia, Zaal Anjaparidze, Nana Jokharidze,  
Maia Berishvili, Ivane Burnadze**

ფოტო  
მიხეილ ზარგარიანი, გივი კიკვაძე,  
ალექსანდრე კოტორაშვილი, [www.sportphoto.ge](http://www.sportphoto.ge)


PHOTO  
**Mikhail Zargaryan, Givi Kikvadze,  
Aleksandre Kotorashvili, www.sportphoto.ge**

პარტნიორები  
საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი  
საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ოლიმპიური სოლიდარობა  
საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია

PARTNERS  
**Georgian National Olympic Committee  
Olympic Solidarity of the International Olympic Committee  
Georgian Wrestling Federation**

ISSN 2233-3096  
ISBN 978-9941-0-3480-0

ქართველი ოლიმპიური ჩემპიონები



2011




სპორტული ცხოვრება ხანმოკლეა. თუ ღმერთმა ინება და შენც ივარგებ, შესაძლოა დროის ამ მცირე, თუმცა კი მნიშვნელოვან მონაკვეთში ცხოვრების მთავარი საქმეების გაკეთება მოასწრო. მაგალითად, რომან რურუამ მოასწრო და ამისთვის სულ ათი წელი დასჭირდა. არაფერი დაშავდება, თუ ამ წლებს, პირობითად, რამდენიმე პერიოდად დავყოფთ. პირველი პერიოდი სპორტული ყრმობისა იყოს, მეორე — სიმწიფისა, მესამეც — სპორტული სიბრძნის.

დიდ სპორტში ახალმოსულ მუხურჩელ ბიჭს თავდაპირველად ბრძოლის ჟინსა და აზარტს უქებდნენ: „რომან რურუას ჭიდაობა სხვა არაფერია, თუ არა გამუდმებული შეტევა, რომელსაც აქვს ერთი დასასრული — წმინდა გამარჯვება. არც ერთი მოჭიდავე ერთ შეხვედრაში არ აგროვებს იმდენ ქულას, რამდენსაც რომანი. ის აზარტის მოჭიდავეა და ბოლომდე იხარჯება.“

მერე, სპორტული სიმწიფის ასაკში, რურუას ოსტატობის შეფასებისას წერდნენ: „რომან რურუამ შეინარჩუნა მებრძოლის საუკეთესო თვისებები და ძველებურად უტევს, მაგრამ ახლა უფრო მოზომილი და რაციონალურია. აკეთებს იმას, ისე და იმდენს, რაც იმ მომენტში აუცილებელია.“

ბოლოს, როცა მედლები ბლომად დაუგროვდა და სახელი საქვეყნოდ გაითქვა, მოჭიდავის ეტალონად გამოაცხადეს: „რომან რურუამ ჭიდაობის ხელოვნება ახალ სიმაღლეზე აიყვანა, ამ სიმაღლიდან იდეალამდე კი მხოლოდ ერთი ნაბიჯია. რურუა ყველა დროისა და ეპოქის საუკეთესო მოჭიდავეთა რიგებში უნდა მოვიხსენიოთ. მან ეს დაიმსახურა.“

გადაშალეთ ძველი პრესა და ნახავთ — რურუა, რურუა, რურუა... ძლიერი, ნიჭიერი, ჭკვიანი. თავად რომანი ასე ამბობს: „მარტო ფიზიკური ძალა, რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის. ძალასთან ერთად გჭირდება გონება და პლუს სუნთქვა. სუნთქვა აზროვნების დედაა. თუ კარგად სუნთქავ, კარგად აზროვნებ. სამოცდაათს მივუახლოვდი, მაგრამ კიბეზე ვერავინ ამასწრებს... ჩერდებიან და ქოშინობენ, მაშასადამე ჟანგბადი აკლდებათ და ვეღარ აზროვნებენ. ამას ვარჯიში შეველის...“



ფიზიკური კულტურის მნიშვნელობაზე რომანს თავისი განსაკუთრებული აზრი აქვს და ამ თემაზე მასთან პაექრობა ადვილი არ არის. ტყუილა ეცდებით, ახლა სიტყვა ბანზე აუგდოთ და საუბარი თქვენთვის უფრო სასურველ კალაპოტში გადაიყვანოთ, თუნდაც სპორტში პირველი ნაბიჯების გახსენება სთხოვოთ. რომანი მაინც თავისას გააგრძელებს: „ფიზიკური კულტურა და სპორტი სხვადასხვა რამეა. ყოველდღიური მსუბუქი ვარჯიშით ადამიანს შეუძლია სიმხნევე და ჯანმრთელობა შეინარჩუნოს, სპორტსმენს კი თავი გადადებული აქვს, რათა როგორმე მედალი მოიპოვოს. ცუდია, როცა სპორტსმენი აქტიურ სპორტთან ერთად თავს ანებებს ფიზიკურ აქტიურობას. ერთმა ახალი თაობის მოჭიდავემ შემომჩვილა, სიმსუქნისკენ მიდრეკილება აღმომაჩნდა, თვენახევარში ოცი კილო მოვიმატეო. მე კი მგონია, რომ ფიზიკური კულტურა არ აღმოაჩნდა და ეს ჩვენი საერთო პრობლემაა.“

განა სხვაგან არ არის პრობლემები. აგერ, თქვენთან, ჭიდაობაში. შეიძლება ისე მოხდეს, რომ ბერძნულ-რომაული ჭიდაობა მალე ოლიმპიური სახეობა აღარ იყოს. მერე რას შვებით, სად მიდიხართ? რომანი ჯიბიდან კალმისტარს იღებს და ქალაღზე დიდი ძახილის ნიშანი გამოჰყავს: „საფრთხე მართლაც რეალურია, ამის გაკეთებას პეკინის ოლიმპიადის შემდეგ აპირებდნენ. ეს კატასტროფა იქნებოდა. პეკინის ოლიმპიადამდე მარტინეტი ჩამოვიდა თბილისში, ფილას პრეზიდენტი. დავსხედით და ვილაპარაკეთ. არ მოვრიდებოვარ, პირდაპირ ვუთხარი — თუ საქმე აქამდე მივიდა, ჯერ თქვენი, მერე კი ჩვენი ბრალი იქნება-მეთქი. კლასიკური ჭიდაობა ანტიკური ოლიმპიადებიდან მოდის და ყველა დანარჩენი ჭიდაობის საფუძველია. ადრეც ბევრჯერ მითქვამს: ცუდი „კლასიკი“ კარგი „ვოლნიკია“, ცუდი „ვოლნიკი“ — კარგი ძიუდოისტი, ცუდი ძიუდოისტი — კარგი სამბისტი. ციმაკურიძე და ბალავაძე თავისუფალ ჭიდაობაში კლასიკურიდან მოვიდნენ. მაგალითები სხვაც ბევრია... თუ ფილამ ამ საქმეს ვერ მოუარა, ყველა თაობის მოჭიდავეებმა განგაში უნდა ავტეხოთ. პირველი მე ვიქნები.“

მარტინეტამდე გაცილებით ადრე თბილისში ბრძანდებოდა ან განსვენებული ხუან ანტონიო სამარანჩი — საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი. საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის წევრებთან შეხვედრაზე რომანი წამოდგა და იკითხა — ბატონო პრეზიდენტო, თქვენს დიდ და პატივცემულ ორგანიზაციაში ისეთი კომისია თუ არსებობს, რომელიც სპორტის ოლიმპიურ სახეობებს იცავს და უფრთხილდებაო. სამარანჩმა უარყოფის ნიშნად თავი გააქნია, მერე რომანს მიუბრუნდა: „საინტერესო კითხვა იყო. თქვენი მოსაზრებები წერილობითი ფორმით წარმოადგინეთ. თუ ასეთი კომისია შეიქმნება, პირველ წევრად მოგიწვევთ.“ ამის იქით საქმე არ წასულა. რომანი ამბობს, რომ სპორტს მეტწილად არაპროფესიონალები მართავენ და მათი ინტერესები ზოგჯერ სპორტისას უპირისპირდება. თუ ჩაეკითხებით, მაგალითებს დაგისახელებთ და გვარებსაც ჩამოგივლით. მას არ უყვარს მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკი და სხვებისგანაც იგივეს ითხოვს. თავის აზრს ჯიუტად იცავს, თუმცა ეს აზრი ბევრისთვის საკამათოა, ზოგჯერ მიუღებელიც: „ძიუდო რომ მეჭიდავა, უფრო რბილი და მოქნილი ვიქნებოდი. ჩვენი სახეობის სპეციფიკიდან გამომდინარე, კლასიკები მიმწოლი ხალხი ვართ. უმეტესობა ასეთია. აქ სხვანაირად ვერაფერს გახდები.“

ჭიდაობას თავი რომ დაანება, სხვა საქმეს მოეკიდა, მაგრამ სპორტიდან შორს არასოდეს წასულა. 1984-ში საქართველოს „კლასიკოსთა“ ნაკრების მთავარ მწვრთნელად დანიშნეს და საბჭოთა ნაკრების მწვრთნელადაც მიიწვიეს. მერე ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი გახდა, მაგრამ პოსტიდან თავისი ნებით გადადგა. იმ ხალხთან საერთო ენის გამონახვა გაუჭირდა, ვისთანაც, თითქოს, ყველაზე ახლოს იყო: „მე სიახლეების შემოტანა მინდოდა, მაგრამ ვერ გავითვალისწინე, რომ ირგვლივ ამის მოწადინე და გამკეთებელი თითქმის არავინ მყავდა. ეს იყო ჩემი შეცდომა — კაცს არ უნდა მოსთხოვო იმის გაკეთება, რაც არ შეუძლია. თუ მოსთხოვ, მტრად მოგეკიდება. ამიტომაც, როცა უმრავლესობასთან მარტო რჩები, ალბათ, ჯობს გაეცალო და განზე გადგე.“





მოჭიდავეთა წრეში რომანს ოპოზიციონერები ყოველთვის ჰყავდა, მაგრამ მის ნიჭს ყველა პატივს სცემს, მის ავტორიტეტს ყველა აღიარებს. „რომანი რომ იყო, ეგეთები სადღა არიან. რომანი ძალიან დიდი იყო“, — ეს უკვე გენადი საპუნოვია, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, რომანის მეტოქე და მეგობარი. სამოციანი წლები, საბჭოთა კავშირის ნაკრები, ქვემსუბუქი წონა: საპუნოვი, გრიგორიევი, კარავაევი, ვირუპაევი, სტამკევიჩი, რურუა. ტიტული არც ერთს არ აკლდა, მაგრამ ამათ შორის ნომერ პირველი იყო რურუა: „იმ წლებში საბჭოთა ჩემპიონატში გამარჯვება, წმინდა სპორტული თვალსაზრისით, უფრო მეტს ნიშნავდა, ვიდრე მსოფლიო ჩემპიონობა. აქ თუ მოიგებდი, საზღვარგარეთ თამამად ჭიდაობდი.“ საზღვარგარეთ პირველად 1961-ში იჭიდავა: შესარჩევ შეჯიბრებაში უძლიერეს საბჭოთა ფალავნებს აჯობა და პოლონეთის საერთაშორისო ტურნირზე გააგზავნეს. იქ ერთის გარდა ყველა ბრძოლა მოიგო და მესამე ადგილზე გავიდა. „ის ერთი შეხვედრა შვედ ვესბერთან წავაგე, იმის მერე ოფიციალურ შეჯიბრებაში უცხოელთან არასოდეს წამიგია. პოლონეთში იმრე პოიაკმაც იჭიდავა, ჩემზე მაღალ წონაში გამოდიოდა. მაშინ პირველად ვნახე პოიაკი. შინ მობრუნებულს, იმედი მომეცა — თუ მსოფლიოში უძლიერესები ასე ჭიდაობენ, ჩემი საქმე არც ისე ცუდად ყოფილა-მეთქი.“

\* \* \*

რომანის პირველი გატაცება ფეხბურთი იყო. ფეხბურთი და ჭიდაობა. მუხურჩელი ბიჭები აბაშისწყლის პირას თამაშით გულს რომ იჯერებდნენ, მერე ჭიდაობაში ცდიდნენ ერთმანეთს. რომანს ფეხბურთი უფრო ემარჯვებოდა, მოედანს ისე არ ტოვებდა, ერთი გოლი მაინც რომ არ გაეტანა. მერე თბილისში ჩამოვიდა და ორი წელი ბავშვთა საფეხბურთო სკოლაში სწავლობდა, „ნორჩი დინამოელის“ წამყვანი მოთამაშე გახდა. ერთხელაც მეზობელ ბიჭს პეტრეს დარბაზში გაჰყვა და პირველად იქ





საქართველოს  
„კლასიკოსთა“ ნაკრები.  
მარცხნიდან მეოთხე —  
რომან რურუა





სსრ კავშირის გუნდური  
ჩემპიონატის დებიუტანტი  
რომან რურუა ანგარიშით  
9:0 ამარცხებს ოლიმპიური  
თამაშების და მსოფლიოს  
ორგზის ჩემპიონს  
ოლეგ კარაგაევს.  
ეს იყო ყველაზე სენსაციური  
შედეგი ამ შეჯიბრებაზე.  
თბილისი, 1961 წელი





რომან რურუასა და  
მსოფლიო ჩემპიონის  
გენადი საპუნოვის  
შეხვედრა სსრ კავშირის  
ხალხთა III სპარტაკიადაზე.  
მოსკოვი, 1963 წელი



რომან რურუა სსრ  
კავშირის ხალხთა  
III სპარტაკიადის  
კვარცხლბეკის უმაღლეს  
საფეხურზე

ნახა ნამდვილ ოსტატთა ჭიდაობა: „ბავშვები აივანზე ვიდექით და იქიდან ვუყურებდით ვარჯიშს. საქმეს რომ მორჩნენ, ერთმა მოხუცმა კაცმა ამოგვხედა და ხელი დაგვიქნია — აბა, ვისაც ჭიდაობა უნდა, აქ ჩამოვიდესო. ჩავედით და ვიჭიდავეთ. ის მოხუცი კაცი, თურმე, ცნობილი მწვრთნელი ნერსეს აკოფოვი იყო. მეორე დღეს დაგვიბარა და პატარა გამოცდა მოგვინყო — ხელებზე აწევა, ბაგირზე ცოცვა, ლერძზე ტანის აზიდვა... მერე თავზე ხელი დამადო და შემომლიმა: ბიძიკო, შენი საქმე ჭიდაობა ყოფილა, აქ ივარჯიშე და მსოფლიო ჩემპიონი გახდებიო. ჩემპიონობაზე უარს როგორ ვიტყვოდი და დავრჩი პეტრეს დარბაზში.“

ერთ კვირაში ჭაბუკთა საქალაქო შჯიბრება გაიმართა და რომანმა ყველას აჯობა, სამ თვეში საქართველოს ჭაბუკთა პირველობა მოიგო. ჩვიდმეტი წლისა უკვე დიდებში გამოვიდა, პირველივე ტურნირში სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა. სწორედ მაშინ უთქვამს ნერსეს აკოფოვს, თავი მომჭერთ, თუ ეს ბიჭი მსოფლიოს ჩემპიონი არ გახდესო. ამ პერიოდიდან იწყება რომან რურუას აღმასვლა დიდ სპორტში. ის იმარჯვებდა უკლებლივ ყველა შეჯიბრებაში — ახალგაზრდებშიც და დიდებშიც. თბილისში ჯერ მამიდასთან ცხოვრობდა, მერე პატარა ოთახი იქირავა და იქ გადაბარგდა. თან ვარჯიშობდა, თან — მუშაობდა.

1961 წელს, ჯერ კიდევ საქართველოს ნაკრების წევრი არ იყო და — საბჭოთა ნაკრების კანდიდატად დაასახელეს. იმ წელს საკავშირო ჩემპიონატს ქუთაისში უმასპინძლა. რომანმა რამდენიმე ცნობილი მოჭიდავე ნააქცია, მათ შორის — ზემოთ ნახსენები გენადი საპუნოვი. მასთან ჭიდაობისას რომანს ერთი ისეთი ორიგინალური ილეთი გამოსვლია, სახელოვანი მწვრთნელი არკადი ლენცი ფეხზე წამომდგარა და ტაში დაუკრავს. თავად რომანს სულ სხვა ეპიზოდი ახსოვს: „ფინალში გადასასვლელი შეხვედრა მქონდა როსტოველ მსოფლიო ჩემპიონ ვალოდია სტაშკევიჩთან, რომელიც მანამდე ოთხჯერ იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. ქულებით წაგებაც ხელს მაძლევდა, ფინალში მაინც გავდიოდი და არხეინად ვიყავი. აკოფოვმა გამაფრთხილა, კისერზე ხელი არ დაადო,

ეგრევე „ვერტუშკას“ გაგიკეთებსო. დავინყეთ ჭიდაობა და ერთ წუთში ხალიჩაზე ბეჭებით აღმოვჩნდი. გამოვედი თავჩაქინდრული, მწვრთნელი ბრაზობს — ეს რა ჰქენი, კისერზე ხელი რატომ დაადეო. როგორ გეკადრებათ, არაფერი მაგის მსგავსი არ გამიკეთებია-მეთქი. აკოფოვი და ჩვენი გუნდის სხვა მწვრთნელები თავისას მიმტკიცებდნენ, მე კი ჩემსას არ გადავდიოდი. გვიან მივხვდი, საქმე რაშიც იყო. სტაშკევიჩმა ჩემი გამოუცდელიობით ისარგებლა, მაჯა დამიჭირა, ჩემი მარჯვენა თვითონ დაიდო კისერზე და... „ვერტუშკას“ ხუთიანზე აკეთებდა. ამ შემთხვევამ ბევრი რამ მასწავლა. მერე „მაღალ საზოგადოებას“ გავუშინაურდი, ზედიზედ ექვსჯერ მოვიგე საკავშირო ჩემპიონატი და ამას სტაშკევიჩის „გაკვეთილსაც“ ვუმაღლი. მაშინ ჭიდაობის საბჭოთა სკოლა მსოფლიოში საუკეთესოდ ითვლებოდა, მაშასადამე საკავშირო ჩემპიონატი უძლიერესთა შეჯიბრება იყო. ნამდვილი ჩემპიონი კი მაშინ ხარ, როცა ყველაზე ძლიერებთან იმარჯვებ.“

ქუთაისში გამართულ სადებიუტო ჩემპიონატზე რურუამ მეექვსე ადგილი დაიკავა, იმავე წლის დეკემბერში კი თბილისში ჩატარდა საბჭოთა კავშირის გუნდური პირველობა. საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში რომანისთვის ეს პირველი შეჯიბრება გამოდგა. 63 კგ წონაში ჩვენი გუნდის ძირითად წევრს მერაბ ლუდუშაურს თავად უთქვამს მწვრთნელებისთვის, მე თავი დამანებეთ, რურუა ყველას გვჯობნის, გუნდში ის დააყენეთო. ამ შეჯიბრებაში უძლიერესი საბჭოთა ფალანგები მონაწილეობდნენ, ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ახალგაზრდა მოჭიდავეებს საკავშირო ნაკრების მწვრთნელთა წინაშე თავის გამოჩენის კიდევ ერთი შანსი ეძლეოდათ. ქართველებს ყველაზე დაძაბული შეხვედრები ბელორუსებთან და რუსებთან ჰქონდათ. ბელორუსიის გუნდში რომანის წონაში გამოდიოდა ოლეგ კარავაევი — რომის ოლიმპიური თამაშების (1960) და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი (1958, 61). ცხადია, ასეთ ტიტულიან მეტოქესთან ჭიდილში გამარჯვებაზე ფიქრი შესაძლოა ვინმეს მკრეხელობადაც კი ჩაეთვალა, მაგრამ, თურმე, თავად რომანს სულ სხვა გეგმები



რომან რურუა  
1966-72 წლებში  
კაპიტანობდა მსოფლიოს  
საუკეთესო გუნდს —  
სსრ კავშირის ნაკრებს





ჰქონდა. და ეს გეგმა რამდენიმე წუთში რეალობად იქცა. 9:0 — ასეთი ანგარიშით გაიმარჯვა ჩვენმა მოჭიდავემ. ამაზე სენსაციური ამ ტურნირზე რა უნდა მომხდარიყო, მაგრამ უკვე მომდევნო წრეში, როცა ქართველები რუსეთის ფედერაციის გუნდს დაუპირისპირდნენ, დარბაზი კიდევ ერთი სენსაციის მოწმე გახდა: ახალბედა რურუამ ამჯერად სპორტის დამსახურებულ ოსტატს ვლადიმერ სტაშკევიჩს აჯობა და იმავდროულად რევანშიც აიღო ნახევარი წლის წინ ქუთაისში განცდილი მარცხისთვის: „ქუთაისის ამბები მწარედ დამამახსოვრდა. სტაშკევიჩი ძალზე უხეში იყო — თან გეჭიდავებოდა, თან გეჩხუბებოდა და გცემდა. თბილისშიც იგივე გაიმეორა, მაგრამ მაინც მოვუგე. ამ შეხვედრის შემდეგ ტუჩები ისე მქონდა დახეთქილი, ერთი კვირა საჭმელს ვერ ვჭამდი.“

\* \* \*

პირველი ტრავმა 1960 წელს მიიღო. თბილისის პირველობაზე ნოდარ ფილიშვილთან შეხვედრისას მუხლი დაიზიანა და ისე გაურთულდა, რომ საჭირო გახდა ქირურგიული ჩარევა. ეს საქმე პროფესორმა ნიკოლოზ გურგენიძემ ითავა. მაშინ მენისკის ოპერაცია ახალი დანერგული იყო. თაბაშირში ჩასმული ფეხი ისე დაუსუსტდა, რომ ძვალი და ტყავი დარჩა. „დინამოს“ სამედიცინო დისპანსერის ექიმებს დაბეჯითებით რაიმეს თქმა უჭირდათ. რომანი ის კაცი არ იყო, ბედისწერას დანებებოდა. იქვე სპორტულ დარბაზში გავიდოდა და ზურგზე დანოლილი თაბაშირიანად ვარჯიშობდა. ნელ-ნელა ძალა აღიდგინა, ფეხზე გაიარა და ხალიჩასაც დაუბრუნდა. პირველივე სერიოზულ ვარჯიშზე პარტნიორმა შემთხვევით მაინცდამაინც ნაოპერაციევ ადგილას მორტყა ფეხი. ხალიჩიდან ხელით გაიყვანეს, მაგრამ რომანს ლოგინში რა გააჩერებდა. მალე განაახლა ვარჯიში და ჩამორჩენა რომ დაეძლია, დარბაზს ყველაზე ბოლოს ტოვებდა. მოგვიანებით, შეჯიბრებებშიც ჩაება და პირველი წარმატებებიც მოიპოვა, მაგრამ 1962 წელს, სოფელში

ჩასული, გაურკვეველ ჯგუფურ ჩხუბში მოყვა და უკვე მეორე ფეხი დაიზინა. სამი თვე გავიდა, გასიებული მუხლი კი არა და არ ცხრებოდა. თბილისელი ექიმები ისევ ოპერაციაზე ალაპარაკდნენ, მაგრამ დედის რჩევით რომანი სოფელში მიბრუნდა, ერთმა აბაშელმა ექიმმა მალამოებით უწამლა და ფეხზე დააყენა.

რომან რურუა: „ამასობაში მოახლოვდა საბჭოთა კავშირის ხალხთა მესამე სპარტაკიადა, რომელიც ოთხ წელიწადში ერთხელ ტარდებოდა და უმნიშვნელოვანესი ტურნირი იყო ოლიმპიური თამაშების წინ. სპარტაკიადისთვის ბორჯომში ვემზადებოდით. გაგონილი მქონდა, ოთხყურა ბალახს თუ იპოვი, ბედნიერებას მოგიტანსო. ფეხბურთის სტადიონზე, მინდორში სულ ქვემოთ ვიყურებოდი, ოთხყურას ვეძებდი და ვიპოვე კიდეც. მოვწყვიტე, წიგნში საგულდაგულოდ შევინახე და სპარტაკიადაზე თან გავიყოლე. ცრუმორწმუნე არა ვარ, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ამ ქვეყანაზე შემთხვევით არაფერი არ ხდება. 1963 წელს მამიდაჩემმა ცხვირსახოცი მაჩუქა — ჭიდაობის დროს, წესის თანახმად, ცხვირსახოცი თან უნდა გქონდეს, ოფლის ან სისხლის მოსანმენდად. ჰოდა, იმ ნაჩუქარი ცხვირსახოცით ვიჭიდავე სპარტაკიადაზე და რაკი ყველაფერი კარგად დამთავრდა, მერე მთელი ათი წელიწადი ის ცხვირსახოცი დამქონდა ყველგან... სპარტაკიადაზე, პირველ წრეში უკვე კარგად ნაცნობ ოლეგ კარავაევს ვეჭიდავე — ოლიმპიურ და მსოფლიო ჩემპიონს. ისე ადვილად ვაჯობე, თავადაც გაკვირვებული დავრჩი. მერე კიდევ ორი ბრძოლა მოვიგე, მაგრამ მეოთხე წრეში ძალიან ტექნიკურ რუს მოჭიდავესთან, გენადი საპუნოვთან 1:3 დავმარცხდი. მომდევნო წრეში თავად საპუნოვმა წააგო უკრაინელ იური გრიგორიევთან. ფინალში სწორედ ჩვენ სამნი გავედით. მე მხოლოდ იმ შემთხვევაში ვხდებოდი ჩემპიონი, თუ გრიგორიევს სუფთად ან 7 ქულის სხვაობით დავამარცხებდი. პირველი პერიოდი 8:1 მოვიგე, მაგრამ დარჩა მეორე ხუთი წუთი. განახლდა თუ არა ჭიდაობა, გრიგორიევმა ისეთი მოგვერდი გამიკეთა, ჰაერში ამომატრიალა. ხიდზე შევდექი და იქიდანვე შევუტიე, ფანდების სერია მი-





ვაყოლე და საბოლოოდ 16:7 გავიმარჯვე. უნდა ვთქვა, რომ ეს იყო ჩემი ერთ-ერთი საუკეთესო ბრძოლა მთელი კარიერის განმავლობაში.“

ხალხი ფეხზე წამოდგა, ტაში დიდხანს არ შემწყდარა. დარბაზში მყოფ-მა ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის მაშინდელმა გენერალურმა მდივანმა, იუგოსლავიელმა მილან ერცეგანმა ჟურნალისტებს განუცხადა — სტაშკევიჩთან, ვირუპაევთან და კარავაევთან ერთად, ამ წონაში გამოჩნდა კიდევ ერთი ბრწყინვალე მოჭიდავე რომან რორუა, რომელსაც მალე მთელი მსოფლიო გაიცნობსო. მსოფლიო სარბიელის კენ მიმავალი გზა სწორედ სპარტაკიადაზე გადიოდა. რომან რორუამ სპარტაკიადის ჩემპიონის ტიტულთან ერთად საბჭოთა ნაკრების მწვრთნელთა კეთილ-

*საქართველოს ნაკრები  
ბერძნულ-რომაულ  
ჭიდაობაში:  
თემურ ხართიშვილი,  
როსტომ აბაშიძე,  
ომარ ბლიაძე,  
კოტე ლულუნიშვილი,  
რომან რორუა,  
დავით გვანცელაძე,  
ომარ ევაძე და  
არჩილ ხარაბაძე.  
1961 წელი*



ოლიმპიური თამაშების  
ფინალური ორთაბრძოლა  
— რომან რურუა და  
უნგრელი იმრე პოიაკი.  
ტოკიო, 1964 წელი



განწყობაც დაიმსახურა და თავის წონით კატეგორიაში პირველ ნომრად დასახელდა. მაგრამ საოლიმპიადოდ პოზიციების გასამაგრებლად, მხოლოდ შინაურ ტურნირებში გამარჯვება არ კმაროდა. მწვრთნელები ასე მსჯელობდნენ: შეიძლება ქვეყნის შიგნით ყველას ჯობდე, მაგრამ საერთაშორისო არენაზე ვერაფერს გახდე. ამიტომაც, საკავშირო შეჯიბრებებში თავგამოჩენილ სპორტსმენებს, ვიდრე მსოფლიო ჩემპიონატებსა და ოლიმპიურ თამაშებზე წაიყვანდნენ, ჯერ სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირზე ცდიდნენ. სპარტაკიადის შემდეგ რომან რურუასთვის პირველი ასეთი ტურნირი გამოდგა საბჭოთა კავშირისა და თურქეთის ნაკრები გუნდების ამხანაგური მატჩი, რომელიც 1963 წელს სტამბოლში გაიმართა. ეს შეხვედრა თურქებსა და ბერძნებს შორის კვიპროსთან დაკავშირებულ სამხედრო დაპირისპირებას დაემთხვა. ამიტომაც, ადრე დაგეგმილი სამი მატჩის ნაცვლად, მხოლოდ ერთი ჩატარდა. საბჭოელთა გუნდში რომან რურუასთან ერთად კიდევ სამი ქართველი გამოდიოდა: ომარ ეგაძე, დავით გვანცელაძე და როსტომ აბაშიძე.

რომან რურუა: „ვჭიდაობდით ცირკის მსგავს შენობაში. მრგვალი არენის შუაში, მეტრნახევარი სიმაღლის ფიცარნაგზე ხალიჩა იყო დაგებული, გარშემო უამრავი მაყურებლით და შაშხანიანი ჯარისკაცებით. მე შევხვდი მასპინძელთა ერთ-ერთ ლიდერს, მსოფლიო ჩემპიონს იაშარ ილმაზს. თავიდანვე ისეთი ტემპი შევთავაზე, ვერ ამყვა და სიმულიანტობა დაიწყო. შეხვედრა შეაჩერეს და ექიმი გამოიძახეს. სუნთქვა აღიდგინა და ჭიდაობაც განახლდა. ერთ მომენტში ხელი მკრა და ფიცარნაგიდან გადამაგდო. ამ სიმაღლიდან ძლივს მოვახერხე ფეხზე დახტომა. ასე არ უნდა-მეთქი და, გაბრაზებულმა, ხალიჩიდან ისე მოვიქნიე, პირდაპირ მაყურებლებში გადავარდა. ატყდა ერთი ყიჟინა, გაცოფდა ხალხი, ილმაზიც მომაკვდავივით იკრუნჩხებოდა და გულშემატკივარს მეტი რა უნდოდა. მოკლედ, ძლივს ჩავამთავრეთ ბრძოლა. იტალიელმა მსაჯმა ფრე გამოაცხადა და მაყურებელიც დაშოშმინდა. მინდოდა დარბაზში დავმჯდარიყავი და ტრიბუნიდან მედევნებინა


თვალი დანარჩენი შეხვედრებისთვის, მაგრამ ამის უფლება არ მომცეს — მითხრეს, ხალხი გალიზიანებულია და ვინმემ რამე არ გესროლოსო. ეს იყო ჩემი მეორე გასვლა უცხოეთში. პირველ საერთაშორისო ტურნირზე პოლონეთში ვიყავი.“

\* \* \*

მერე იყო უამრავი ტურნირი, პირველობა თუ ჩემპიონატი, იყო ორი ოლიმპიადა. რურუა თითქმის ათი წელი გამოდიოდა დიდ სარბიელზე და, როგორც წესი, პირველობას არავის უთმობდა. რომან რურუას ეამაყება, რომ ექვსი წელიწადი, 1966-72 წლებში მსოფლიოს საუკეთესო გუნდს — საბჭოთა კავშირის ნაკრებს კაპიტნობდა, სამოციანელ „კლასიკოსებში“ კი ნაკრების მწვრთნელებზე არანაკლები ავტორიტეტი ჰქონდა. მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ვიქტორ იგუმენოვი იხსენებს: „ჩვენ ერთხმად ავირჩიეთ რომანი ნაკრების კაპიტნად. მისი ნებისმიერი მოთხოვნა უსიტყვოდ სრულდებოდა. რომანი იყო ჩვენი გუნდის სინდისი, მისი ტრადიციების მთავარი დამცველი. გამოცდილ მოჭიდავეს ბევრით ვერაფრით გააკვირვებ, რომან რურუა კი ჩვენც გვაოცებდა მეტოქეებზე თავისი უპირატესობით. იმდენად ძლიერი იყო დანარჩენებზე, გეგონებოდათ მძიმეწონოსანია და ბუზებს იგერიებსო. ჩვენი კაპიტანი გუნდის ყველაზე საიმედო წევრი იყო.“

„რომანი საქმის და წესრიგის კაცია,— ამბობს ოლიმპიური ჩემპიონი, 1965-69 წლებში საბჭოთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი ანატოლი კოლესოვი,— არავის უნახავს ვარჯიშზე თუნდაც ხუთი წუთით დაგვიანებული ან უქმად მყოფი რურუა. გამოირჩეოდა სამართლიანობით და ლიდერის თვისებებით. თანაგუნდელები ცდილობდნენ მიებაძათ, მასსავით ვირტუოზულად ექიდავათ, მაგრამ ამას იშვიათად თუ ახერხებდა ვინმე. მეტოქეები ტყვიასავით უფრთხოდნენ — რომანთან გამკლავება ურთულესი საქმე იყო.“











რომან რურუამ —  
მსოფლიო ჩემპიონატის  
დებიუტანტმა ტოლიდო-  
ში ექვს მეტოქეს ჯამში 82  
ქულა აართვა, თავად კი  
ქულაც არ დაუკარგავს!  
ჩემპიონები რვა წონით  
კატეგორიაში გამოვლინ-  
დნენ, მაგრამ ჩემპიონთა  
ჩემპიონად რომან რურუა  
ალიარეს. მისი კრედო  
ასეთია: თუ იბრძვი,  
ბოლომდე უნდა იბრძოლო.






გენადი საპუნოვი:  
„ჩემი მეგობარი რომან  
რურუა 1961 წელს გავი-  
ცანი, საბჭოთა კავშირის  
რესპუბლიკებს შორის ჩემ-  
პიონატისთვის მზადების  
პერიოდში. ეს ჩემპიონატი  
ქუთაისში უნდა გამარ-  
თულიყო. მაშინ ჯარში  
ვმსახურობდი. ჩვენ ჩემ-  
პიონატისთვის თბილისში  
ვემზადებოდით. მზადების  
პროცესში ახალგაზრდა  
ნიჭიერი მოჭიდავე შევნიშ-  
ნე და, რამდენადაც მას-  
სოვს, მასთან ვივარჯიშე  
კიდევ. სსრკ ჩემპიონატზე  
კენჭისყრამ რომან რურუ-  
ასთან შემახვედრა. მასთან  
გამართულ პირველივე  
ბრძოლაში პირწმინდად  
დავმარცხდი.“

რაკი ალალი ჭიდაობით არაფერი გამოსდიოდათ, საქმეში ზოგჯერ მსაჯები ერთვებოდნენ. ტოკიოში, 1964 წლის ოლიმპიადაზე რომანს სწორედ მსაჯებმა უმუხთლეს და მსოფლიოს სამგზის ჩემპიონთან, უნგრელ იმრე პოიაკთან აშკარად მოგებული შეხვედრა ფრედ დაამთავრებინეს. ამ უსამართლობას დიდი ხმაური მოჰყვა, მაყურებელი და პრესა რურუას მხარეს დადგა, მაგრამ ფილას ჩინოვნიკებმა მსაჯების გადაწყვეტილება ძალაში დატოვეს. ოქროს მედალი პოიაკმა წაიღო, მართლა ჩემპიონს კი ვერცხლის მედალი ჩამოჰკიდეს. დარბაზიდან გამოსულ რურუას უთქვამს: მორჩა კინო, რაც იყო იყო, დღეიდან წინ ვერავინ დამიდგებაო.

...ტოკიოს ოლიმპიური საგზურისთვის გადამწყვეტი ბრძოლა ოლიმპიადამდე რამდენიმე თვით ადრე ტალინში გაჩაღდა: საბჭოთა კავშირის ჩემპიონატს უნდა გაერკვია, ვინ მიუახლოვდებოდა სანუკვარ მიზანს — საპუნოვი, გრიგორიევი თუ რურუა. ახალი თაობის ეს სამეული დანარჩენებზე მაღლა იდგა, სტაშკევიჩს, ვირუპაევს, კარავაევს და სხვა ვეტერანებს კი სერიოზულ კონკურენტებად არც განიხილავდნენ. ტალინის საკავშირო ჩემპიონატი, ისევე როგორც წინა წლის ხალხთა სპარტაკიადა, რურუას გამარჯვებით დამთავრდა, მაშასადამე, ტოკიომდე თითქმის აღარაფერი რჩებოდა. საბჭოთა ნაკრების კანდიდატები, იაპონიასთან გეოგრაფიული სიახლოვის გამო, დასკვნით საოლიმპიადო შეკრებაზე ვლადივოსტოკში ჩაიყვანეს. იქვე ჩატარდა ბოლო საკონტროლო შეხვედრებიც. 63 კგ წონით კატეგორიაში კონკურენტები სამნი იყვნენ — რურუა, საპუნოვი და გრიგორიევი. ამ სამეულს მეტოქეებად, ასე ვთქვათ, გამომცდელებად შეურჩიეს იური კოლოპოვი და ვიტალი ტულუპოვი. ისინი მონაცვლეობით ხვდებოდნენ ფავორიტებს, მწვრთნელებს კი საბოლოო არჩევანი ამ შეხვედრების მიხედვით უნდა გაეკეთებინათ. ისე მოხდა, რომ კოლოპოვიც და ტულუპოვიც ნახევარი ძალით ეჭიდავენ საპუნოვს, რურუასთან კი თავი გამოიდეს, მაგრამ მაინც ვერაფერს გახდნენ. ნაკრების ხელმძღვანელობას სხვა არჩევანი არ

თუ რომანი მეტოქეს  
ჩოქბჯენში მოიგებდა,  
როგორც წესი, ეს შეხვედრა  
მისი წმინდა გამარჯვებით  
მთავრდებოდა



სსრ კავშირის ნაკრები  
ადრიატიკის თასით.  
პირველ რიგში,  
მარჯვნიდან მეორე —  
რომან რურუა.  
1967 წელი



ჭკონდა — ტოკიოს საგზური ქართველ ფალავანს გამოუწერეს. არადა, საპუნოვი წინა წლის მსოფლიო ჩემპიონი იყო, მის პირად მწვრთნელს ვიაჩესლავ კოჟარსკის კი იმავდროულად საბჭოთა ნაკრების უფროსი მწვრთნელის პოსტი ეკავა.

რომან რურუა: „ტოკიოში კარგად მომზადებული ჩავედი, მაგრამ საერთაშორისო გამოცდილება თითქმის არ მქონდა. ფინალამდე პოლონელ, თურქ, დანიელ, ბელგიელ და იაპონელ მეტოქეებს მოვუგე. ფინალში სამნი გავედი: უნგრელი იმრე პოიაკი, იუგოსლავიელი ბოგდან მარტინოვიჩი და მე. პოიაკი იმ დროისთვის ერთ-ერთი ყველაზე ტიტული-

ანი მოჭიდავე იყო — მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი და ოლიმპიადების სამგზის ვერცხლის პრიზიორი. წარმოიდგინეთ, კაცი სამჯერ გავიდა ოლიმპიადის ფინალში და ჩემპიონი ვერ გახდა. ტოკიო მისთვის ბოლო შანსი იყო. რაც შეეხება მარტინოვიჩს, მას მსოფლიო ჩემპიონატებზე ვერცხლის და ბრინჯაოს მედლები ჰქონდა აღებული. ამათ ფონზე მე, პრაქტიკულად, დამწყებ მოჭიდავედ გამოვიყურებოდი. ფინალში პირველი შეხვედრა პოიაკ-მარტინოვიჩს შორის უნდა გამართულიყო, მაგრამ იუგოსლაველმა, ჩემთვის საეჭვოდ, თავი ცუდად იგრძნო და ხალიჩაზე არ გამოვიდა. დავრჩით მე და პოიაკი. უნგრელს ჩემზე ერთით მეტი ბრძოლა ჰქონდა ჩატარებული და, მაშინდელი წესებით, ფრეც ხელს აძლევდა. დაიწყო ბრძოლა. პოიაკი ხალიჩიდან გამირბოდა, თავს იცავდა. რამდენიმე გდება მაინც მოვახერხე, ხიდზეც შევაყენე, მაგრამ მსაჯებმა არც ერთი არ ჩამითვალეს. ერთ მომენტში მეტოქე ჰაერში ავნიე და როცა ხალიჩაზე უნდა დამენარცხებინა, სასტვენის ხმა გაისმა — ფეხი ნითელ ხაზზე გედგაო. საბოლოოდ, ეს შეხვედრა ფრედ — 0:0 დამთავრდა. ოქრო პოიაკს გადასცეს, მე ვერცხლის მედალი მერგო, მარტინოვიჩს — ბრინჯაოსი. ცუდ გუნებაზე დავდექი, არც ერთი ბრძოლა არ წამიგია და მაინც მეორე ადგილზე გავედი. მეორე დღეს პოიაკი ოლიმპიურ სოფელში ჩემთან მოვიდა და მომიბოდიშა. მითხრა, მე წარმავალი ვარ, შენ — მომავალი, ჩემპიონი აუცილებლად გახდებიო. კაცურად მოიქცა და მის მიმართ დიდი პატივისცემით განვენწყვე.“

რომან რურუა და იმრე პოიაკი ხალიჩაზე პირველად და უკანასკნელად ტოკიოში შეხვდნენ ერთმანეთს. ხალიჩის მიღმა კი არაერთხელ შეხვედრილან, მათ შორის — უნგრეთში, პოიაკის ოჯახში. მასპინძლის თქმით, ეს იყო განსაკუთრებული საღამო: „ჩემი კარიერის მანძილზე ძალიან ბევრ საბჭოთა მოჭიდავეს შეხვედრივარ, მაგრამ რურუა მათ შორის ყველაზე სრულყოფილი და მგრძნობიარე იყო. ამიტომაც შეძლო უმაღლესი ოლიმპიური შეფასება მიელო 1968 წელს, თანაც — ყველაზე მაღალი ქულებით. ჩვენ ვიყავით ერთმანეთის მონინაალმდეგენი ხა-


ლიჩაზე და საუკეთესო მეგობრები ხალიჩის მიღმა... აქტიური საჭიდაო კარიერის დამთავრების შემდეგ, ჩვენ არაერთხელ შევხვდით ერთმანეთს, როგორც მწვრთნელები და გავაგრძელეთ ისეთივე მეგობრობა, როგორც ადრეულ წლებში გვქონდა. როგორც მოჭიდავე და როგორც მწვრთნელი, ორივე შემთხვევაში, რომან რურუა საქართველოს ჭიდაობის ლეგენდაა. საქართველოში ყველა ამაყობს მისით. რომანის დაუფერებელი, არაჩვეულებრივი მიღწევები, ადამიანური ურთიერთობები და თვისებები მას განსაკუთრებულ პიროვნებად წარმოსახავს. ბედნიერი ვარ, რომ ვიცნობ მას, ვუსურვებ ყველაფერ კარგს და ვიმედოვნებ, რომ შევხვდები რაც შეიძლება მალე.“

\* \* \*

ტოკიოს ოლიმპიური თამაშები ისტორიის კუთვნილებად იქცა. დადგა 1965 წელი და დაიწყო ახალი სპორტული სეზონი. რომანმა დიდი უპირატესობით მოიგო საკავშირო პირველობა, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონატზე ზაპოროჟიელი იური გრიგორიევი წაიყვანეს. მწვრთნელების არგუმენტი ასეთი იყო: რაკი ერთ წონაში ამდენი ძლიერი მოჭიდავე მოგროვდა, ვინმე რომ არ დაიჩაგროს და უტიტულოდ არ დარჩეს, თავის გამოჩენის შანსი ყველას უნდა მიეცესო. სხვათა შორის, იმ ჩემპიონატში გრიგორიევი დამაჯერებლად გამოვიდა და ოქროს მედალი აიღო.

რომანის ჯერი დადგა 1966 წელს. მსოფლიო ჩემპიონატის დებიუტანტმა ტოლიდოში ექვს მეტოქეს ჯამში 82 ქულა აართვა, თავად კი ქულაც არ დაუკარგავს! ჩემპიონები რვა წონით კატეგორიაში გამოვლინდნენ, მაგრამ ჩემპიონთა ჩემპიონად რომან რურუა აღიარეს. მისი კრედო ასეთია: თუ იბრძვი, ბოლომდე უნდა იბრძოლო. მოჭიდავეს გამარჯვება მეთათე ნუთზეც ისე უნდა სწყუროდეს, როგორც ბრძოლის დასაწყისში — სხვაგვარად ჭიდაობა მე არ ვიცი. შორეული ამერიკის ამბებს რომანი ასე იხსენებს: „ფინალის წინა შეხვედრა ირანელ ხორშიდფორთან მქონ-





და. ვიდრე ხალიჩაზე გამოგვიცახებდნენ, ირანელებმა ვახტანგ ბალაყაძის პირით შემოგვითვალეს — ხორშიდფორი შეუძლოდაა და ჭიდაობაზე უარს ამბობსო. მაგრამ როცა ბრძოლის დრო მოვიდა და ჩვენი გვარები გამოაცხადეს, ის უკვე ხალიჩაზე იდგა. მეტოქის ასეთი საქციელის გამო გავბრაზდი, მაგრამ უარესი მერე გააკეთა — ერთ მომენტში ხალიჩიდან გავიდა, მერე უკნიდან მომეპარა, ხელები მომხვია და ლეიბზე თავით დამარჭო. მეც მეტი არ მინდოდა — მთელი ძალით ვეძგერე, წაღმა-უკულმა ვაკოტრიალე, მგონი ნეკნიც ჩავუმტვრიე, თან იმაზე მეტი ქულა წავართვი, რამდენიც მჭირდებოდა. ამის შემდეგ ის ირანელი ხალიჩაზე არასოდეს მინახავს. მერე იყო ფინალი. ფინალში შვედი მსოფლიო ჩემპიონის გუსტავ ფრეის შვილს შევხვდი. სუფთად თუ მოვიგებდი ის ირანელი

*რომან რურუასა და  
იური კოზუნის  
ორთაბრძოლა  
სსრ კავშირის ჩემპიონატზე.  
ტალინი, 1969 წელი*

მეორე ადგილზე გადიოდა, შვედი კი — მესამეზე. ქულებით გავიმარჯვე და შვედმა ვერცხლი აიღო.“

მორიგი მსოფლიო ჩემპიონატი 1967 წელს ბუქარესტში გაიმართა, მაგრამ ამას წინ უძღოდა არაერთი სხვა შეჯიბრება — შედარებით ნაკლებმნიშვნელოვანი. რომან რურუა თითოეულ ტურნირს დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა და ნაკლებ ყურადღებას აქცევდა იმას, რა ენერა შეჯიბრების აფიშაზე. ჭიდაობ — მაშასადამე ბოლომდე იბრძვი. ამიტომაც იყო, რომ საჭიდაო ხალიჩაზე რურუას გამოსვლა გულგრილს არავის ტოვებდა — არც აქ, საქართველოში და არც უცხოეთში. რურუა მეტწილად უცხოეთში ჭიდაობდა. 1966 წელს მეხიკოში ეგრეთწოდებული მცირე ოლიმპიადა ჩატარდა. რაკი მეხიკო მაღალმთიან ზონაში მდებარეობდა, მომავალი ოლიმპიადის ორგანიზატორებმა საჭიროდ ჩათვალეს სპორტსმენთა გამოსაცდელად ერთგვარი სასინჯი ტურნირი მოეწყოთ, რომელსაც წინ უძღოდა ერთთვიანი ვარჯიშები. საბჭოთა სპორტსმენებს მეხიკოში თან ახლდა მეცნიერთა და ექიმ-პრაქტიკოსთა დიდი ჯგუფი. ისინი სწავლობდნენ იქაურ კლიმატურ პირობებს, აკვირდებოდნენ სპორტსმენებს, ატარებდნენ გამოკვლევებს და შესაბამის რეკომენდაციას აძლევდნენ მწვრთნელებს. რომან რურუა მშვენივრად შეეგუა მისთვის უცხო გარემოს — ექიმების დასკვნით, 350-კაციან საბჭოთა დელეგაციაში საუკეთესო ფიზიკური მდგრალობა სწორედ რომანმა გამოავლინა. საინტერესოა, რომ საბჭოთა დელეგაციაში არ იყვნენ თავისუფალი სტილის ფალავნები. ამიტომაც, რურუა მოჭიდავეთა ორივე ტურნირში გამოვიდა და ორივეგან — კლასიკურშიც და თავისუფალშიც — პირველი ადგილი დაიკავა. ამას მოჰყვა ადრიატიკის თასის გათამაშება, რომელიც საბჭოთა ნაკრების გამარჯვებით დამთავრდა. მოახლოებული მსოფლიო ჩემპიონატის წინ, ცხადია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა 1967 წლის საკავშირო სპარტაკიადას, რომელიც ივლისში მოსკოვში ჩატარდა. ქვემსუბუქ წონაში საბჭოთა ნაკრების ლიდერებად კვლავ რომან რურუა და იური გრიგორიევი რჩებოდ-



რომან რურუამ ჭიდაობის  
ხელოვნება ახალ სიმაღლე-  
ზე აიყვანა, ამ სიმაღლიდან  
იდელამდე კი მხოლოდ  
ერთი ნაბიჯია. რურუა  
ყველა დროისა და ეპოქის  
საუკეთესო მოჭიდავეთა  
რიგებში უნდა მოვიხსენი-  
ოთ. მან ეს დაიმსახურა



*რომან რურუასა და  
სრეტან დამიანოვიჩის  
(იუგოსლავია) შეხვედრის  
ოთხი ეპიზოდი, რომელსაც  
ერთი ფინალი აქვს —  
წმინდა გამარჯვება.  
მესიკო, 1968 წელი*

ნენ, თუმცა გამოჩნდა რამდენიმე ნიჭიერი ახალგაზრდა. მაგალითად, ბაქოელი სერგეი აგამოვი, რომელმაც 1966 წელს საბჭოთა კავშირისა და ევროპის ჩემპიონატები მოიგო. სპარტაკიკადაზე ადგილები ასე განაწილდა: ოქრო — რომან რურუას, ვერცხლი — სერგეი აგამოვს, ბრინჯაო — იური გრიგორიევს. ეს იმას ნიშნავს, რომ ბუქარესტის მსოფლიო ჩემპიონატზე რურუა გაემგზავრება.

...ერთ აღრინდელ საგაზეთო ინტერვიუში რურუა ამბობს: „თუ თბილისში ჭიდაობ, რაც ძალზე იშვიათად ხდება, გინდა მაყურებელს განსაკუთრებით დაამახსოვრო თავი, თუმცა სხვაგანაც იგივეს გაკეთებას ცდილობ. თუ მაყურებელი ობიექტურია და შეუძლია ჯეროვნად შეაფასოს შენი ოსტატობა, მაშინ ვისთანაც არ უნდა ჭიდაობდე, სტვენას არ დაგინწყებს. პირიქით, შეიძლება ტაშითაც კი დაგაჯილდოვოს. ასეთი ბევრი შემთხვევა მახსოვს.“ ასეთი შემთხვევები, ცხადია, ახსოვთ რომანის მეგობრებს და თანაგუნდელებსაც, რომლებიც მოკრძალებით და დიდი პატივისცემით საუბრობენ თავიანთ ქართველ კოლეგაზე. მაგალითად, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი, პროფესორი ვიქტორ იგუმენოვი წერს: „რაც კი რამ საუკეთესო სიტყვა შეიძლება მოიძებნოს ადამიანის შესაქებად, ყველა სიტყვა ერთად მინდა გამოვთქვა რომან რურუას შესახებ საუბრისას. ის გახლავთ ყოველმხრივ დადებითი პიროვნება, შესანიშნავი ადამიანი, ერთგული მეგობარი, უდიდესი სპორტსმენი. მის შესახებ ვუყვებით ჩვენს მოწაფეებს, მის მაგალითზე ვასწავლით მომავალ თაობებს — თუ როგორი უნდა იყოს სპორტსმენი სპორტში და ცხოვრებაში. ჩვენი მოწაფეები უყვებიან თავიანთ მოწაფეებს და ასე ლეგენდასავით ვრცელდება ამ მართლაც ლეგენდარული სპორტსმენისა და ადამიანის



თავგადასავალი.“ თავის მეტოქესა და მეგობარზე გულთბილ სიტყვებს არ იშურებს მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გენადი საპუნოვი: „ჩემი მეგობარი რომან რურუა 1961 წელს გავიცანი, საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს შორის ჩემპიონატისთვის მზადების პერიოდში. ეს ჩემპიონატი ქუთაისში უნდა გამართულიყო. მაშინ ჯარში ვმსახურობდი. ჩვენ ჩემპიონატისთვის თბილისში ვემზადებოდით. მზადების პროცესში ახალგაზრდა ნიჭიერი მოჭიდავე შევინიშნე და, რამდენადაც მახსოვს, მასთან ვივარჯიშე კიდეც. სსრკ ჩემპიონატზე კენჭისყრამ რომან რურუასთან შემახვედრა. მასთან გამართულ პირველივე ბრძოლაში პირწმინდად დავმარცხდი. ყველა ჩემი მცდელობა, რომანი გადამეგდო, იმით მთავრდებოდა, რომ თავად აღმოვჩნდებოდი ხიდზე. საბჭოთა კავშირის ნაკრებში თითქმის ერთდროულად მიგვიღეს და იქიდან დაიწყო ჩვენი მეგობრობა, რომელიც დღემდე გრძელდება. რომან რურუა გამოირჩეოდა ჭიდაობის თვითმყოფადი სტილით, რომელიც კუნთების განსაკუთრებულ მგრძობელობაზე და შესანიშნავ ფიზიკურ მომზადებაზე იყო დაფუძნებული. მან დიდი წვლილი შეიტანა საჭიდაო ტექნიკისა და ტაქტიკის განვითარებაში. რომანის ბევრ ორიგინალურ ტექნიკურ ილეთს დღემდე იყენებენ მოჭიდავეები. მარტო მისი ცნობილი „ბიოკი“ რად ღირს! არ მახსოვს არც ერთი შეხვედრა საერთაშორისო ხალიჩაზე, რომელიც რომან რურუას წაეგოს. მხოლოდ მსაჯების სინდისზეა მისი ვერცხლის მედალი ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე. სახელგანთქმულ უნგრელ მოჭიდავესთან, იმრე პოიაკთან შერკინებაში მას ორი ქულა არ ჩაუთვალეს. ჩემთვის რომანი კეთილშობილი და პატიოსანი მეგობარია. ის გამოირჩევა სამართლიანობის გამძაფრებული




რომან რურუა  
ოლიმპიურ ხალიჩაზე  
გასასვლელად ემზადება

მეორე წრეში რომანი  
წმინდად ამარცხებს  
ამერიკელ ჯეიმს  
ხოზივინკელს

ფინალი. რურუა —  
პიდეო ფუძიმოტო (იაპონია)





ოლიმპიური კვარცხლბეკი:  
პიდუო ფუძიმოტო,  
რომან რურუა და  
სემიონ პოპესკუ.  
მეხიკო, 1968 წელი

გრძნობით, რასაც ხშირად უკომპრომისობამდე მიჰყავს. ამ თვისებას მისთვის არაერთხელ შეუშლია ხელი ცხოვრებაში. მაგრამ რას ვიზამთ — ასეთია რომანი და ჩვენ, მის მეგობრებს იგი ასეთი გვიყვარს.“

\* \* \*

...დადგა 1967 წლის სექტემბერი. ბუქარესტი მოჭიდავეთა წლის უმთავრეს შეჯიბრებას მასპინძლობს. რუმინელებს რამდენიმე ძლიერი სპორტსმენი ჰყავთ, განსაკუთრებით კი ილია ბაჩუ და სემიონ პოპესკუ ეიმედებათ. პოპესკუ რურუას წონაშია. „საქმე კარგად მიმდის. ორ მეტოქეს ვაჯობე და გადამწყვეტი ბრძოლებისთვის ვემზადები. მწვრთნელებიც კმაყოფილი არიან — ასე თუ გააგრძელებ, ნინ ვერავინ დაგიდგება, ახლა კი ნადი, დაისვენე, ჭიდაობა სალამომდე არ გინევსო. ნამოვალე ჩანთას ხელი და გამოვედი ქუჩაში. ღია ცის ქვეშ, ხელბურთის მოედანზე დაგებულ ხალიჩაზე ვჭიდაობდით და სასტუმროც ახლოს იყო. ასი მეტრი გავიარე და უცებ რეპროდუქტორის ხმა ჩამესმის — „რურუა, რურუა!“. ელდა მეცა, სასწრაფოდ გავიძრე ფოსტლები და უკან ფეხშიშველი გამოვიქეცი. პირდაპირ ხალიჩაზე შევევარდი, იქ კი პოპესკუ დგას დოინჯშემოყრილი. შუამავალი მსაჯიც გამოსულა და საათზე იყურება. თურმე, მე მელოდებიან. ამასობაში ჩემი მწვრთნელებიც გამოჩნდნენ და შორიდან მიყვირიან — ჩქარა, ჩქარა, აქვე ჩაიცვი, თორემ საკონტროლო დრო იწურება და მოგხსნიანო. ნამში გამოვეწყვე და გავედი საჭიდაოდ. პოპესკუ მომანვა, მე უფრო მაგრად მივანექი. პოპესკუ გამირბის, მე მივსდევ. შუამავალი მსაჯი ბრძოლას აჩერებს და გვერდითებს ეთათბირება. პოპესკუ უნდა გააფრთხილონ, მაგრამ ახლა ამას ვინ გაბედავს — ხუთი ათასი კაცი ფეხზე დგას და მუშტებს გვიღერს. ნახევარ წუთში მსაჯი ისევ გვაჩერებს — პოპესკუ აშკარად გასაფრთხილებელია. ტრიბუნიდან ცვივა ბოთლები, სკამები და ათასი ხარახურა. ვდგავარ ჩემთვის და ველოდები, როდის მორჩება ეს ყველაფერი. წინა რიგიდან ვილაცამ ვაშლი





რომან რურუა და მოცურავე  
თინათინ ლეკვეიშვილი  
მესიკოს ოლიმპიურ  
სოფელში



მესროლა და კისერში მომარტყა. მეტი არც მინდოდა — მივუტრიალდი და ორივე ხელით ერთ ადგილას მივანიშნე. ხალხი სულ გადაირია. მეც ვერ მაჩერებენ და ტრიბუნისკენ გავრბივარ — ჩემი ჭკუით, მაყურებელს ჭკუა უნდა ვასწავლო. ზედ მოაჯირთან სამი პოლიციელი ფეხებში მეცა და უკან, ხალიჩაზე შემაბრუნეს... ჭიდაობა გაგრძელდა, მაგრამ ვინ გაცალა ჭიდაობა — მსაჯები პოპესკუს ღიად ემხრობოდნენ და როგორც კი სახიფათოდ შევუტევედი, წამსვე მაჩერებდნენ, აქაოდა, წესები დაარღვიეო. საბოლოოდ, ჩვენი შეხვედრა ფრედ დამთავრდა. მედლებისთვის მებრძოლნი დავრჩით ოთხნი: მე იაპონელ ფუძიმოტოს უნდა შევხვდე,



პოპესკუ — თურქ ალაკოჩს. ქულებით რომ მოვიგო, იაპონელი ფინალში გადავა, იქ პოპესკუს ეჭიდავება და შესაძლოა ოქრო მათ შორის განანილდეს. მე თამამგარეთ ვრჩები, ჩემი ბედი სხვებმა უნდა გადანყვიტონ. ასეთი პერსპექტივა არ მსიბლავს — აუცილებლად წმინდად უნდა გავიმარჯვო. მაშინ ოქროს მედალი ჩემია... დავინყეთ. ფუძიმოტო ფრთხილობს, მარცხენა ხელს არ იძლევა. მარცხენაში თუ შევედი, შანსი მიჩნდება. პირველი ხუთი წუთი ისე გავიდა, რომ მხოლოდ მარჯვენა ხელზე ვეჭიდავე, ვითომ მარცხენა საერთოდ არ მაინტერესებს. ხელი დაულურჯდა, მაგრამ არაფრით არ გახსნა მარცხენა. ტაქტიკა არც მე-

*რომან რურუა,  
დიტო შანიძე და  
ვიქტორ სანეევი.  
მეხიკო, 1968 წელი*



მეხიკოდან დაბრუნებულ  
ოლიმპიურ ჩემპიონს  
თბილისელი მოსწავლეები  
დაფნის გვირგვინით და  
თაიგულით დახვდნენ

ორე პერიოდში შემიცვლია. მწვრთნელები ვერ გარკვეულან, რა მინდა, რა ტაქტიკით ვჭიდაობ. მეძახიან: დროა რომან, ქულა აიღეო. ქულა რა ჭირად მინდა, ქულით მოგება ჩემთვის მიუღებელია. ვაგრძელებ ძველებურად, მარჯვენა ხელს არ ვეშვები, ვერ სვდება ფუძიმოტო, რა ჭირად მინდა ეს მარჯვენა. ერთ მომენტში ფუძიმოტო წამიერად შეცდა — მარჯვენის დასახსნელად მარცხენა წამოიღო. მეც ეს მინდოდა: შევედი, „სუფლექს“ მოელოდა, მაგრამ უკულმა მოგვერდი გავუკეთე და გადავაგდე. ხიდზე შედგომა მოასწრო. ისეთი ხიდი აქვს, ზედ ტანკი გაივლის. ვანვები, მაგრამ არ მნებდება, საკმარისი დრო მაქვს, მთელი ხუთი წუთი, მაგრამ ვგრძნობ, რომ ვერ დავანვენ. მაგრად მიჭირავს და ქვევით ვიყურები. ვხედავ, ცხვირი ჩემს მუცელზე აქვს მოდებული. უცებ გონება გამინათდა — ტანით მარჯვნივ შევტრიალდი და ოდნავ გადავიხარე. იაპონელს სუნთქვა შეეკრა და ორ წამში ხიდიც ჩატყდა... ჩემპიონი მე ვარ! წესი არ დამირღვევია, თორემ ვინ მაპატიებდა. იმწამიერი სიტუაციის მიხედვით ვიმოქმედე და ჩანაფიქრიც კარგად გამომივიდა.“

რომან რორუა  
მშობლებთან, მშობლიურ  
სოფელ მუხურჩაში



ამის შემდეგ რომანმა კიდევ ორ მსოფლიო ჩემპიონატში გაიმარჯვა — 1969 წელს მარ-დელ-პლატაში და 1970 წელს ედმონტონში. მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ვიქტორ იგუმენოვი იხსენებს: „მე და რომანი ნაკრებში თითქმის ერთ დროს მოვედით და მაშინვე დავმეგობრდით. შეკრებებსა და შეჯიბრებებზე ერთ ნომერში ვცხოვრობდით, თავისუფალ დროსაც ერთად ვატარებდით. ასეთ გულღია და ალალმართალ ადამიანს იშვიათად შევხვდრივარ. რომანის ყველა დიდი გამარჯვების უშუალო მოწმე ვარ, ჩვენ ერთად მოვიგეთ ტოლიდოს, ბუქარესტის, მარ-დელ-პლატასა და ედმონტონის მსოფლიო ჩემპიონატები. რომანი შეუდარებელი იყო, მან კლასიკური ჭიდაობის ცალკეული ილეთები ხელოვნების დონემდე აიყვანა. დასანანია, რომ სოფიაში ტრავმის გამო მეხუთედ ვერ გახდა მსოფლიო ჩემპიონი.“

\* \* \*



ცნობილი მსახიობი ჯემალ მონიავა თავის კრებულში წერს: „ერთხელ, ბატონ ვასო გოძიაშვილს წავატანე — თავის არტისტულ სააღკაზმულოში მარტო იჯდა, გრიმს იკეთებდა, გაგულისებული იტყაპუნებდა ლოყებზე თითებს და ბუზღუნებდა: „აბა, ეს საქმეა? ყოველ საღამოს უნდა ვამტკიცო, რო ნიჭიერი ვაარ?!“ რომან რურუას საქმეც ასე იყო: შეჯიბრებიდან შეჯიბრებამდე, წლიდან წლამდე უნდა ემტკიცებინა, რომ ნიჭიერი იყო და თუ საჭიდაოდ გაიყვანდნენ, ოქროს მედალს არავის დაუთმობდა. ნებისმიერი სხვა შედეგი მარცხად აღიქმებოდა. მოხდა ისე, რომ რომან რურუას ევროპის ჩემპიონატზე არასოდეს უჭიდავია. ამის სურვილი როგორ არ ჰქონია, მაგრამ თავის „რიგს“ დიდსულოვნად უთმობდა თანაგუნდელებს. ასე მოხდა, მაგალითად, 1969 წელს, იტალიაში გასამართი ევროპის ჩემპიონატის წინ. მწვრთნელებს არჩევანი უკვე გაკეთებული ჰქონდათ, მაგრამ რომანთან გენადი საპუნოვი მისულა და შეუჩივლია — ჩემთვის რომ კიდევ ერთი შანსი მოეცათ, გულით ვიჭი-

დავებდი და მერე კარიერასაც დავასრულებდიო. რომანს ავადმყოფობა მოუმიზეზებია, სანვრთნელი შეკრებიდან თბილისში დაბრუნებულა, იტალიაში კი საპუნოვი წაუყვანიათ.

მაგრამ მანამდე იყო მეხიკოს 1968 წლის ოლიმპიური თამაშები.


საბჭოთა მოჭიდავეები ოლიმპიადის დაწყებამდე ერთი თვით ადრე ჩავიდნენ მეხიკოში. აკლიმატიზაციისთვის ერთი თვე საკმარისზე მეტი დრო იყო. დასკვნითი სანვრთნელი შეკრება, ფაქტობრივად, მექსიკაში ჩატარდა. დაიწყეს ინტენსიური წვრთნა. შეჯიბრების დაწყებამდე რამდენიმე დღე რჩებოდა, როცა რურუამ მწვრთნელებს სთხოვა, ვაჯიშიდან გამანთავისუფლეთ, ჩემი საქმისთვის ასე აჯობებსო. უარი არ უთქვამთ, თუმცა ეჭვი კი გაჩნდა: „რალაც მომენტში ჩემს თავში ეჭვი მეც შემეპარა. არ ვიცი რატომ, რა ძალამ მიკარნახა ასე მოვქცეულიყავი. ჩემი თანაგუნდელები ოფლში იწურებოდნენ, მე კი ოლიმპიურ სოფელში დავსერირობდი და ვარჯიშს თვალს შორიდან ვადევნებდი. ასე გავატარე ბოლო ერთი კვირა.“

თამაშების პროგრამის ბოლო სახეობა კლასიკური ჭიდაობა იყო, ბოლო ოქროს მედალი რურუას ერგო. ოთხი წლის წინ ტოკიოში მსაჯებმა ყველაფერი იღონეს, რომ რურუას არ მოეგო ოლიმპიადა. მეხიკოში რურუამ ყველაფერი გააკეთა, რომ არ წაეგო ოლიმპიადა. ფინალამდე ექვს მეტოქეს ეჭიდავა, მათგან პირველი ოთხი წმინდად დამარცხა, დანარჩენებს სოლიდური უპირატესობით აჯობა. ესენი იყვნენ ერაყელი ისმაილ ალ კარაგული, ამერიკელი ჯეიმს ხოზივინკელი, იუგოსლავიელი სრეტენ დამიანოვიჩი, გერმანელი ლოთარ შნაიდერი, თურქი ჰაჯირ ალაკოჩი და ბულგარელი დიმიტრ გალინჩევი. რურუას აგრესიულობამ, ეტყობა, მსაჯები ისე დააეჭვა, ფინალამდე სამჯერ გაიყვანეს დოპინგკონტროლზე. გადამწყვეტი ბრძოლა იაპონელ ჰიდეო ფუძიმოტოსთან ჰქონდა. იაპონელს ხელს აძლევდა მხოლოდ გამარჯვება, ჩვენს ფალავანს კი ფრეც ჰყოფნიდა იმისთვის, რომ ჩემპიონი გამხდარიყო.



ვლადიმერ კანკავა,  
რომან რურუა და  
თამაზ მაჭავარიანი






ვლადიმერ კანკავა და  
რომან რურუა ვარჯიშზე



რომან რურუა,  
დავით გვანცელაძე,  
როსტომ აბაშიძე და  
ომარ ეგაძე

ცნობილი მსახიობი ჯემალ მონიავა თავის კრებულში წერს: „ერთხელ, ბატონ ვასო გოძიაშვილს წავატანე — თავის არტისტულ სააღკაზმულოში მარტო იჯდა, გრიმს იკეთებდა, გაგულისებული იტყაბუნებდა ლოყებზე თითებს და ბუზღუნებდა: „აბა, ეს საქმეა? ყოველ საღამოს უნდა ვამტკიცო, რო ნიჭიერი ვაარ?!“ რომან რურუას საქმეც ასე იყო: შეჯიბრებიდან შეჯიბრებამდე, წლიდან წლამდე უნდა ემტკიცებინა, რომ ნიჭიერი იყო და თუ საჭიდაოდ გაიყვანდნენ, ოქროს მედალს არავის დაუთმობდა.



რომან რურუა: „ფუძიმოტო საკმაოდ ძლიერი, რომ იტყვიან, შეკრული მოჭიდავე იყო, ერთ-ერთი საუკეთესო იმათ შორის, ვისაც ხალიჩაზე შეხვედრივარ. სალამოს თორმეტის ნახევარზე გაგვიყვანეს საჭიდაოდ. მთელი სამი საათი ველოდებოდი ხალიჩაზე გამოძახებას. დრო თითქოს უსასრულოდ გაიჭიმა, ფსიქოლოგიურად დაძაბული ვიყავი. მწვრთნელები და საქართველოს წარმომადგენლები გასახდელის კარებთან ტრიალებდნენ და ხმის ამოღებას ვერ ბედავდნენ. ბოლო ბრძოლა იყო დარჩენილი. ოქროს ერთი მედალიც კი სანატრელი გახდა. ჩემი თანაგუნდელებიდან ვერავინ ვერ აიღო ოქრო და ახლა ყველანი მე შემომყურებდნენ იმედის თვალით. იქით ვაწყნარებდი ყველას, ნუ ნერვიულობთ, ოქრო აუცილებლად იქნება-მეთქი. წინა ოლიმპიადიდან მწარე გამოცდილება გამომყვა და ძალიან ვფრთხილობდი. ფუძიმოტოს დასაკარგი არაფერი ჰქონდა და ვიცოდი, რომ გარისკავდა. რისკი ზოგჯერ ამართლებს. ფუძიმოტომ იმდენად აგრესიულად შემომიტია, რომ სულმა წამძლია და ღია ჭიდაობაში შეეყვევი. მეტოქემ ამით ისარგებლა და ორი ქულა წამართვა, მაგრამ ყველაფერი წამებში აღვადგინე — მეც ორი ქულა ავიღე. ერთ მომენტში, როცა ფუძიმოტო ჩოქბჯენიდან ავიყვანე და უნდა გადამეგდო, ცხვირიდან სისხლი წამსკდა. მსაჯებმა ილეთი არ დამამთავრებინეს, შეხვედრა შეაჩერეს და ექიმის სკამზე დამსვეს. ექიმებმა ტამპონებით შემიჩერეს სისხლდენა და ისევ განახლდა ჭიდაობა, თუმცა, რატომღაც, დგომში და არა ჩოქბჯენიდან. აშკარად ვიგრძენი მსაჯების არაკეთილმოსურნე განწყობა, ამიტომაც ვფრთხილობდი, ბოლომდე მოზომილად ვჭიდაობდი, რათა მათთვის, რაიმე საბაბით, იაპონელის სასარგებლო გადაწყვეტილების მიღების საშუალება არ მიმეცა. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა შეხვედრა ფრედ შეგნებულად დავამთავრე. ოქროს ბედი წყდებოდა და სხვაგვარად ვერ მოვიქცეოდი.“

მოჭიდავეთა ოლიმპიური ტურნირის შეჯამებისას მექსიკური გაზეთი „ელ სოლო“ წერდა: „ოთხი წლის წინ ტოკიოში დასანანი გაუგებრობა მოხდა. ყველაზე ძლიერსა და ღირსეულს ოქროს მედალი იმ მოტივით არ

მისცეს, რომ ახალგაზრდა ხარ და კიდევ მოესწრებიო. რომან რურუა ამ მკაცრ განაჩენს უსიტყვოდ დაემორჩილა, მაგრამ, თურმე, ტოკიოს გაკვეთილი კარგად დაიმახსოვრა. მეხიკოში რურუა ძველ ანგარიშებს ასწორებდა და მასთან ბრძოლა, უბრალოდ, შეუძლებელი იყო.“

\* \* \*

რომან რურუა ოლიმპიური ჩემპიონი გახდა 26 წლისა. ეს იყო მისი სპორტული კარიერის ზენიტი, მაგრამ, ცხადია, კარიერა ამით არ დამთავრებულა. მას წინ ელოდა კიდევ ორი მსოფლიო ჩემპიონატი და სხვა ტურნირები. ოლიმპიური თამაშების შემდეგ, ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ შეჯიბრების წესებში ერთი მეტად მნიშვნელოვანი ცვლილება შეიტანა — რვის ნაცვლად ათი წონითი კატეგორია შემოიღო. ქვემსუბუქი წონა ერთი კილოგრამით შემსუბუქდა და 62 კგ გახდა. არადა, რომანს ისედაც ჰქონდა წონის დაკლების პრობლემა და ეს ერთი კილოგრამი კიდევ უფრო ამძიმებდა მის მდგომარეობას.

რომან რურუა: „რვა-ცხრა კილო უნდა დამეკლო, რომ 62 კილოგრამ კატეგორიაში გამოვსულიყავი. ამიტომაც, ძალიან მინდოდა 1969 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე უფრო მაღალ წონაში მეჭიდავა. მწვრთნელებმა უარი მითხრეს და სხვა რა გზა მქონდა — დავიწყე წონის დაგდება. მსოფლიო ჩემპიონატი არგენტინაში, მარ-დელ-პლატაში ჩატარდა. მე და ომარ ბლიაძე სასტუმროში ერთ ნომერში ვცხოვრობდით. ერთ საღამოს ქალაქის ცენტრში სასაიერნოდ წავედით. შეჯიბრება ორ დღეში გვეწყებოდა. მივადექით ლუდის ბარს. ვხედავთ, ღია ცეცხლზე ათასნაირი ხორცი იწვის, მადის ამღვრელი სუნი ტრიალებს. არადა, შიმშილისგან სული მძვრება, ცალკე კიდევ წყურვილი მკლავს. თითო ნაჭერი ხორცი გავსინჯოთ, მეუბნება ომარი და მეც თანხმობის ნიშნად თავს ვუქნევ. ომარი უფრო შორს მიდის: „თითო ჭიქა ლუდიც ხომ არ მივაყოლოთ, სულ ორასი გრამია, რას გვიზამს.“ ჯანდაბას, რაც არის არის! ცოტა ხანში მოაქვთ



ორი ნაჭერი ხორცი და ორი ლუდი... გაპიპინებულ-დაორთქლილი ლიტრიანი კათხებით. არა, არა, მაგდენი არ გვინდა! — ერთ ხმაზე ავყვირდით ორივენი, მაგრამ ვის ესმის ჩვენი. ჩამოდგეს თეფშები და ოქროსფერი, ჯანმრთელი ლუდით სავსე კათხები. სული მიმდის. დავტაცე ხელი, მივუჭახუნე ომარის კათხას და გამოვცალე სულმოუთქმელად. ომარი ჩუმად არის, ხმას არ იღებს. გადაიფიქრა! ვეჩხუბები — დალიე, დალიე, ის კი მტკიცედ მპასუხობს: არა! გადავირიე, ძალიან გავბრაზდი და მეორე კათხაც მე გამოვცალე. ჩემს გამოფიტულ ორგანიზმს მეტი არ უნდოდა — არ მახსოვს, როგორ დავბრუნდით სასტუმროში. კიდეც კარგი, მწვრთნელებს არ დავუნახივართ. მეორე დილით, როგორც კი გამეღვიძა, სარბენად გავვარდი, მერე ცხელ აბაზანაში ჩავწექი, ლოგინში შევბრუნდი და რაც კი ხელში მომხვდა, ყველაფერი ზედ დავიყარე. მეორე დღეს საუნაში წავედი, უფროსი მწვრთნელი ანატოლი კოლესოვიც გამომყვა. საუნაში სამი ოთახი იყო: საშუალო, ცხელი და ძალიან ცხელი. მე პირდაპირ ყველაზე ცხელ ოთახში შევედი. კოლოსოვმა მირჩია, საშუალოდან დაიწყეო, მაგრამ ცივი უარი ვუთხარი. არ მახსოვს, რამდენი საათი ვიყავი საუნაში. ის კი მახსოვს, რომ დიდხანს ვინვალე, სანამ პირველი ოფლი წამომივიდა... მოკლედ, სასწორზე რომ დავდექი, ზუსტად 62 კილოს ვინონიდი.“

რომან რურუამ მარ-დელ-პლატაში, ტრადიციულად, ყველა მეტოქეს აჯობა, ზოგს — ქულებით, ზოგს — ვადაზე ადრე. ეს ჩვეულებრივი რამ იყო: თუ რომანი შეჯიბრებაში მონაწილეობდა, მისი მეტოქეებისთვის პირველი ადგილის დაკავების შანსი მინიმუმამდე მცირდებოდა. ბრძოლა უმთავრესად მეორე და მესამე ადგილებისთვის მიდიოდა. არგენტინაში ერთი უცნაური ამბავი შეემთხვა. მესამე თუ მეოთხე წრეში, გერმანელ მოჭიდავესთან შეხვედრისას, რომ იტყვიან, დავთრები აერია — თავისი რომ ეგონა, ის ქულები, მსაჯებმა, თურმე, გერმანელს ჩაუთვალეს: „ბოლო, მესამე პერიოდი უნდა დაიწყოს, ბრძოლის დამთავრებამდე სამი წუთი რჩება. მწვრთნელები მეუბნებიან, გაინძერი რომან, ნულით ცხრას აგებო. გავხედე ტაბლოს და შევლონდი — მართლაც ნულით ცხრას ვა-

გებ. არ ვიცი რატომ, მაგრამ მე პირიქით მეგონა. ასეთი რამ არასოდეს მომსვლია. მივხვდი, რომ უფსკრულის პირას ვიდექი. სიტუაციის გამოსასწორებლად სულ სამი წუთი მქონდა. სასტვენის ხმასთან ერთად შევუტეე, მეტოქე მთელი ძალით მოვქაჩე და მუხლებზე ცხვირით დამეტაკა. ვიდრე მსაჯები აზრზე მოვიდოდნენ, ჩემი საქმე გავაკეთე – რამდენიმე წამში თექვსმეტი ქულა ავიღე. მართლაც წამებში მოხდა ყველაფერი — შვიდი ქულის უპირატესობით გავიმარჯვე.“

მერე იყო კანადა, ედმონტონი, 28-ე მსოფლიო ჩემპიონატი, რომელიც ასევე ილბლიანი გამოდგა რომან რურუასთვის. მწვრთნელებმა პირველად დართეს ნება მაღალ წონაში (68 კგ) გამოსულიყო და რომანმაც შვებით ამოისუნთქა. საერთოდ, სპორტსმენის წონის თემა მეტად მნიშვნელოვანი რამ გახლავთ, განსაკუთრებით სწორედ ჭიდაობაში. იმის გამო, რომ სასურველი წონა შეინარჩუნოს და შეჯიბრების დღეს აწონვაზე მისული უკან არ გამოაბრუნონ, სპორტსმენმა პირადი წონა ყოველდღიურად უნდა აკონტროლოს და ხშირ შემთხვევაში, ხანგრძლივი დროით, საკვები თუ წყალი შეზღუდულად მიიღოს. ასეთი რეჟიმით ცხოვრება და იმავდროულად სპორტული ფორმის შენარჩუნება ადვილი საქმე არ არის. ამ მიზეზით არაერთი ნიჭიერი მოჭიდავე ჩამოსცილებია სპორტს, ან ამდენი შიმშილობით გამოფიტულს და ძალაგამოცლილს, მაღალი შედეგი ვერ უჩვენებია. წონის პრობლემა რომან რურუასაც ჰქონდა, თუმცა ცდილობდა რეჟიმი დაეცვა და მწვრთნელებისგან შენიშვნა არ მიეღო. ამას, მგონი, თვითკონტროლი ჰქვია. რომანი თვითკონტროლის და დისციპლინის მოყვარული კაცი იყო. 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატის წინ მაღალ წონაში „დანინაურების“ ამბავი რომ გაიგო, ცხადია, ძალიან გაეხარდა, მაგრამ საკუთარი თავისთვის განცხრომის უფლება არ მიუცია. ახალ წონით კატეგორიაში ჭიდაობა მისთვის ახალი გამოწვევა იყო, თუმცა აქ რამდენიმე ძველი ნაცნობი დახვდა. მათ შორის, რუმინელი სემიონ პოპესკუ — შრომისმოყვარე, სტაბილური მოჭიდავე, რომელიც ხშირად ხვდებოდა საპრიზო სამეულში. რურუასა და პოპესკუს გზები



*გურამ სალარაძე,  
დავით გვანცელაძე,  
რომან რურუა,  
შოთა ლომიძე,  
ანზორ კიკნაძე,  
როსტომ აბაშიძე,  
ზარიბეგ ბერიაშვილი*

მეხუთე წრეში შეიყარა. თუ რომანი წმინდად მოუგებდა, პოპესკუ სამე-  
ულს მიღმა რჩებოდა. ჭიდაობის დაწყებამდე რუმინელი მწვრთნელები  
მისულან და უთხოვიათ — თუ დაინდობ და ბოლომდე არ გაიმეტებ, მად-  
ლობელნი ვიქნებითო. რომანმა პოპესკუს ქულებით მოუგო, მერე კი იყო  
ფინალი, სადაც უნდა გარკვეულიყო მთავარი — ვინ გახდებოდა ოქროს  
მედლის მფლობელი.

რომან რურუა: „ფინალში იაპონელს ვეჭიდავე, გვარად ტაკასის.  
ახალბედა იყო, მანამდე არსად შევხვედრილვარ. ამიტომაც საგანგებოდ



ვაკვირდებოდი მის გამოსვლას. კარგად ჭიდაობდა, ერთი ფანდით ამარცხებდა მეტოქეებს. ვინც მარჯვენა ხელი დაუთმო, ყველას ეს ფანდი გაუკეთა. სანამ აზრზე მოვიდოდნენ, ტაკასი უკვე გამარჯვებას ზეიმობდა. ასე მოაღწია ფინალამდე. დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემთანაც იგივეს ეცდებოდა. კონტრგეგმა შევიმუშავე და საჭიდაოდ გავედი. დავიწყეთ ჭიდაობა, მარჯვენა ხელი შეგნებულად გავნიე წინ, მეტოქემ უმაღვე თავისი ფანდის გაკეთება სცადა, მაგრამ სანამ რამეს მოიმოქმედებდა, ხელი სწრაფად გამოვნიე უკან. ტაკასი ინერციით შეტრიალდა და ჩემსკენ ზურგით აღმოჩნდა. მეც ამ მომენტს ველოდი: უკნიდან წელში ჩავავლე ხელები, ავიტაცე და ხალიჩაზე დავახეთქე. რამდენიმე წამში 12 ქულა ავიღე. ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, რომ მსაჯებმა ბრძოლა გააჩერეს, ითათბირეს და სათითაოდ დაითვალეს ქულები. საბოლოოდ 21:0 მოგუგე. ეს ამბავი განსაკუთრებით კარგად მახსოვს, რადგანაც ეს იყო ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრა ჩემს კარიერაში.“

ედმონტონში რომან რურუა მეოთხედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი, ვერცხლის მედალი პოპესკუმ მიიღო, ბრინჯაოსი — ტაკასიმ. ჩემპიონატის საუკეთესო მოჭიდავედ რურუა აღიარეს, წლის ბოლოს კი პოპულარულმა ჩეხურმა სპორტულმა ჟურნალმა „სტადიონმა“ რურუა მსოფლიოს 1970 წლის საუკეთესო სპორტსმენთა შორის დაასახელა.

\* \* \*

რომან რურუას იმდენ საერთაშორისო ტურნირში მიუღია მონაწილეობა, ყველა ტურნირს ვერც იხსენებს, მაგრამ კარგად ახსოვს, რომ თითოეულ შეჯიბრებას, რა რანგისაც არ უნდა ყოფილიყო იგი, დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა. რომანი პასუხისმგებლობას გრძნობდა როგორც საკუთარი გულშემატკივრის, ასევე ნამდვილი ჭიდაობის სანახავად მოსული ნეიტრალური მაყურებლის წინაშეც. ის მაყურებელს აღიქვამდა როგორც სახლში მოსულ კეთილ სტუმარს, რომელსაც გუ-



სსრ კავშირის ნაკრები  
ბერძნულ-რომაულ  
ჭიდაობაში.  
სტაიკი, 1983 წელი

ლი უნდა გაუხსნა და პატივი უნდა სცე. რურუა ხშირად იმეორებს გენადი საპუნოვის სიტყვებს: „არსებობს მოჭიდავეთა ორი კატეგორია — კარგი მოჭიდავე და დიდი მოჭიდავე. მე კარგი მოჭიდავე ვარ. დიდი რომ ვყოფილიყავი, ოლიმპიური ჩემპიონი გავხდებოდი.“ რურუა ამატებს: „მსოფლიო ჩემპიონის ერთი მედალი ჯერ კიდევ არ ნიშნავს ნამდვილ ჩემპიონობას. ნამდვილი ჩემპიონი ის არის, ვინც ამას რამდენიმეჯერ შეძლებს. ასეთები იყვნენ, მაგალითად, გივი კარტოზია და ლევან თედიაშვილი.“ ასეთი იყო თავად რომან რურუაც, რომელიც გამუდმებით იმას ცდილობდა, დროისთვის გაესწრო და ჭიდაობის ხელოვნება ახალ სიმაღლეზე აეყვანა. ის ერთის მხრივ, ყურს უგდებდა მწვრთნელების მითითებებს, სწავლობდა სხვების გამოცდილებას და, ამავე დროს, თავა-



საქართველოს  
ნაკრები საბერძნეთის  
საერთაშორისო ტურნირზე  
გამგზავრების წინ.  
მოსკოვი, 1985 წელი

დაც ამკვიდრებდა ახალ ილეთებს თუ ტაქტიკურ ვარიანტებს. ერთხელ, საკავშირო ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ვიაჩესლავ კოჟარსკიმ გამოაცხადა, დრო მოვიდა კომბინაციურ ჭიდაობაზე გადავიდეთო, თან დეტალურად ახსნა, რაში გამოიხატება კომბინაციური ჭიდაობის არსი. რატომღაც, მწვრთნელის ამ მოწოდებას არავინ გამოხმაურებია რომან რურუას გარდა. რომანმა საფუძვლიანად შეისწავლა მრავალსულიანი კომბინაციური ბრძოლის ნიუანსები და წარმატებით გამოიყენა სპორტულ პრაქტიკაში: „ადრეულ წლებში დაძაბული ვჭიდაობდი, ფეხის გადაადგილება მიჭირდა, ბოძივით ერთ ადგილას ვიყავი დარჭობილი. ჩვენს ნაკრებში იყო ერთი ძალიან ტექნიკური მოჭიდავე, ოლიმპიური ჩემპიონი ბორის გურევიჩი. მან თითქოს უბრალო, მაგრამ ძალიან სა-

სარგებლო რჩევა მომცა: ფეხი სხეულს მიადევნე და ხალიჩაზე ცეკვა-ცეკვით იმოძრავე, მეტოქე საითკენაც გექაჩება, იქით მიყევი, ნუ გაუძალიანდები, თორემ მალე დაიღლებიო. გურევიჩმა რამდენიმე პრაქტიკული გაკვეთილიც ჩამიტარა. ამის შემდეგ, ჯერ ვარჯიშებზე, მერე კი შეჯიბრებაზე ვცდილობდი მისი რჩევა გამეთვალისწინებინა და ძალიან გამომადგა კიდეც.“

1970 წლის მიწურულს რომან რურუა ხერხემალმა შეანუხა — მალე-შუა წანაზარდი ნერვს აწვებოდა და საშინელი ტკივილები ჰქონდა. რენტგენი გადაუღეს და სხვადასხვა ქვეყნის წამყვან კლინიკებში გააგზავნეს, საიდანაც დამაფიქრებელი პასუხები მოვიდა: ამ ავადმყოფს ხელს ვერ მოვკიდებთ, საექვო მკურნალობას რაიმე დადებითი შედეგი მოჰყვება. მინსკში აღმოჩნდა ერთი ქირურგი, რომელმაც ოპერაციის გაკეთება ითავა, მაგრამ ამაზე თავად რომანმა კატეგორიული უარი განაცხადა. დაიწყო თერაპიული მკურნალობის ხანგრძლივი კურსი — დაჭიმვები, წყალქვეშა მასჟები, სპეციალური ვარჯიშები.

რომან რურუა: „1971 წლის ივლისია, რამდენიმე დღეში საბჭოთა კავშირის სპარტაკიადა უნდა დაიწყოს. სპარტაკიადაზე მე არაფერი მესაქმება, ნახევარი წელია ხალიჩაზე არ გავსულვარ. აგერ, მოსკოვის ნომერ პირველ საავადმყოფოში ვწევარ და ხერხემალს ვმკურნალობ... პალატაში შემოდიან ნაკრების მწვრთნელი ვახტანგ კუხიანიძე და ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი ირაკლი სარაჯიშვილი. მეკითხებიან, თავს როგორ გრძნობ, ჭიდაობას თუ შეძლებო. ვიუარე, რადგანაც ჩემი მხრიდან თანხმობის მიცემა ავანტიურა იქნებოდა — შეჯიბრებისთვის მზად არ ვიყავი. მთხოვეს, საქართველოს დელეგაციის შტაბში წავყოლოდი. იქ დაგვხვდნენ ცეკას ორი მდივანი — დევი სტურუა და მიხეილ გოგიჩაიშვილი, სპორტკომიტეტის თავმჯდომარე გიორგი სიხარულიძე, აგრეთვე თბილისიდან საგანგებოდ ჩამოყვანილი გივი კარტოზია და როსტომ აბაშიძე. ცეკას მდივნები მორიგეობით „მამუშავებენ“ — შენი მედალი ძალიან გვჭირდება, პარტია ითხოვს და სამშობლო მოელისო.

პარტიის დავალებას მაშინ კანონის ძალა ჰქონდა. რაც იქნება, იქნება, იჭიდავე, — მეუბნება გივი კარტოზია და როსტომიც მხარს უბამს. ბოლოს გული ამიჩუყეს და დამითანხმეს... გავედი საჭიდაოდ და მესამედ მოვიგე სპარტაკიადა. როგორც კი შეჯიბრება მორჩა, ისევ საავადმყოფოში დავბრუნდი. თვენახევარში მსოფლიო ჩემპიონატი იწყებოდა და რადგან სპარტაკიადაზე გავიმარჯვე, სურვილი გამიჩნდა და იმედიც მომეცა, რომ სოფიაში გავემგზავრებოდი. ტკივილები ნელ-ნელა გამიქრა და ნელშიც გავიმართე. გამოვედი საავადმყოფოდან და დავიწყე ვარჯიში. ბულგარეთი ჭიდაობის ქვეყანაა და მსოფლიო ჩემპიონატმა იქაურ გულშემატკივართა დიდი ინტერესი გამოიწვია. პირველ წრეში უნგრელ შტეერს შევხვდი, ძლიერი ბიჭი იყო. პირველი და მეორე პერიოდები ქულებით მოვუგე, მაგრამ მესამე წრეში მოხდა წარმოუდგენელი რამ — მსაჯებმა პასიურობისთვის ორივეს სამ-სამი გაფრთხილება მოგვცეს და ხალიჩიდან მოგვხსნეს. ეს იმას ნიშნავდა, რომ პირველივე წრეში ოთხი საჯარიმო ქულა ავიკიდე და უკიდურესად გამირთულდა საქმე. კიდევ ორი საჯარიმო ქულა და — შეჯიბრებას ვეღარ გავაგრძელებდი. ანუ მომდევნო ორი შეხვედრა ქულებით რომ მომეგო, ექვსი საჯარიმო მიგროვებოდა და თამაშიდან გავდიოდი. მოკლედ, ფინალამდე დარჩენილი ხუთივე შეხვედრა სუფთად უნდა მომეგო. მსოფლიო ჩემპიონატზე ამის გაკეთება ადვილი საქმე არ არის. ავდექი და ზედიზედ ოთხი მეტოქე სუფთად დავამარცხე. მომდევნო შეხვედრა იუგოსლავიელ სრეტენ დამიანოვიჩთან მქონდა. კარგი მოჭიდავე იყო, თუმცა რაღაც განსაკუთრებულ მეტოქედ არ ვთვლიდი. უნდა ვალიარო, რომ რადგან სუფთად მოგების გარანტია არ არსებობდა, ქულებით მოგება კი ხელს არ მაძლევდა, მე და დამიანოვიჩი წინასწარ შევთანხმდით: თუ პირველ სამ წუთში მე ქულას ვერ ავიღებდი, მაშინ შეხვედრას მას დავუთმობდი. წინააღმდეგ შემთხვევაში, თავად დამიანოვიჩი ჩამომცილდებოდა გზიდან... სამი წუთი ისე შემომეფცქვნა, რომ ქულა ვერ ავიღე. სიტყვა სიტყვაა — დაიწყოთ თუ არა მეორე პერიოდი, ტრავმა მოვიმიზეზე და ექიმებს ვთხოვე, შე-

ჯიბრებიდან მომხსენით-მეთქი. ზოგიერთებივით ბეჭზე ხომ არ დავწვებოდი. მერე დამიანოვიჩი გერმანელ გეფერტს ეჭიდავა, მათი შეხვედრა ფრედ დამთავრდა და ჩემპიონი იუგოსლავიელი გახდა. სხვათა შორის, ჩემი პირველი შეხვედრის შუამავალი მსაჯი გერმანელი იყო და ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ გეფერტისთვის, ევროპის მოქმედი ჩემპიონისთვის, მთავარი კონკურენტები ჩამოეცილებინა — მეც და უნგრელი შტეერიც, ფაქტიურად, ხალიჩიდან გაგვაძევა. ასეთი რამეც ხდება ჭიდაობაში.“

რომან რურუამ სოფიაში მისთვის სრულიად უჩვეულო მეექვსე-მეშვიდე ადგილები გაიყო პოლონელ სუპრონთან ერთად. რომანი ამაში მხოლოდ გერმანელ მსაჯს არ ადანაშაულებს და წარუმატებლობის მთავარ მიზეზად სპარტაკიადაში მონაწილეობას ასახელებს. ამბობს, რომ სპარტაკიადაში სრულიად მოუმზადებელი ჩაება, ეს შეჯიბრება ნერვებისა და შემართების ხარჯზე მოიგო, მსოფლიო ჩემპიონატამდე დარჩენილი თვენახევარი კი საკმარისი არ აღმოჩნდა ძალების აღსადგენად.

\* \* \*

...დადგა 1972 წელი, მოახლოვდა მიუნხენის ოლიმპიური თამაშები. მაისის დასაწყისში ულიანოვსკში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი უნდა გაიმართოს, ამას მოჰყვება რამდენიმე საერთაშორისო ტურნირი და საკონტროლო შეხვედრები საბჭოთა ოლიმპიური გუნდის კანდიდატების მონაწილეობით. სექტემბერში უკვე ოლიმპიადა იწყება. რომან რურუა, რა თქმა უნდა, ნაკრების კანდიდატთა შორისაა, მაგრამ გუმანით ხვდება, რომ ყველაფერი რიგზე ვერ არის. მწვრთნელები უკვე სხვა თვალით უყურებენ და, სიმართლე უნდა ითქვას, საამისო მიზეზებიც აქვთ: ბოლო მსოფლიო ჩემპიონატის შედეგები და ბოლომდე მოუშუშებელი ტრავმები. მაისში ამას კიდევ ერთი სერიოზული მიზეზი ემატება — საკავშირო ჩემპიონატის მესამე წრეში მთავარ კონკურენტთან, შამილ ხისამუტდი-



ნოვთან განცდილი მარცხი. მდგომარეობის გამოსასწორებლად დრო კიდევ არის, მაგრამ ეს დრო რურუას წინააღმდეგ მუშაობს. ოლიმპიადის დაწყებამდე ოცი დღით ადრე, დასკვნით სანვრთნელ შეკრებაზე მოჭიდავეებს ამწკრივებენ და აცხადებენ ნაკრების საბოლოო შემადგენლობას. ამ სიაში რომან რურუა არ არის: „ასეთ სიტუაციაში არასოდეს ვყოფილვარ. გარშემო ყველა შემომეცალა. დავრჩი მარტო. ადგილიდან ვერ ვიძროდი. ამდენი ტიტულისა და წარმატების შემდეგ, პირველად ჩემს სპორტულ კარიერაში, გუნდის ძირითად შემადგენლობაში ვერ მოვხვდი. იმ წუთშივე მივიღე გადაწყვეტილება ნაკრებიდან წასვლის შესახებ... ოცდათორმეტი წლისა დავემშვიდობე დიდ სპორტს. ჭიდაობაში ჩემი შესაძლებლობების თხუთმეტი-ოცი პროცენტი ვერ გამოვიყენე, მაგრამ ეს კანონზომიერია. დანაკარგების გარეშე წარმატებას ვერ მიაღწევ. 1963-დან 1972 წლამდე, თითქმის ათი წელი, წონაში ნომერ პირველი მოჭიდავე ვიყავი, თითქმის ათი წელი პირველობა არავისთვის დამითმია. დავთმე და ჭიდაობა დავამთავრე კიდეც. ყველაფერს თავისი დრო აქვს. რაც არ უნდა ძლიერი იყო, რაც არ უნდა დიდი ავტორიტეტი გქონდეს, დასასრული ყველაფერს აქვს.“

## რომან რურუა

დაიბადა 1942 წლის 25 ნოემბერს მუხურჩაში, მარტვილი. ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავე (63, 68 კგ). XIX ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (1968, მეხიკო), XVIII ოლიმპიური თამაშების მეორე პრიზიორი (1964, ტოკიო), მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი (1966, 67, 69, 70). სსრკ ხალხთა III, IV, V სპარტაკიადების ჩემპიონი (1963, 67, 71), სსრკ სამგზის ჩემპიონი (1964, 65, 70), საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი (1984-85) და სსრკ ნაკრების მწვრთნელი (1984-87). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის, სოკის, ფილას და ღირსების ორდენების კავალერი.



## ROMAN RURUA

Greco-Roman wrestler (63, 68 kg), was born on November 25, 1942 in Mukhurcha, Martvili (Western Georgia). He is a champion of XIX Olympic Games (Mexico, 1968), silver medalist of XVIII Olympic Games (Tokyo, 1964), four-time world champion (1966, 1967, 1969, 1970), champion of the 3rd, 4th and 5th USSR sports and athletics meetings (1963, 1967, 1971) and three time champion of the USSR (1964, 1965, 1970). Rurua was chief coach of the Georgian national team of Greco-Roman wrestlers (1984-85), coach of the USSR national combined team (1984-1987) and the USSR Honored Master of Sports. He was decorated with Vakhtang Gorgasali Order of the 2nd class, Order of Honor and the orders from FILA and IOC.